



International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 6, Issue 1

Journal homepage: <http://journal.ciu.edu.ge/>

DOI: <https://doi.org/10.55367/BCPT6571>



Legal Regulation of Digital Money: A Model for Harmonisation with International Standards

Nino Jolia ^{a1}

^a PhD student, Caucasus International University

ARTICLE INFO

Keywords:

Digital money
Harmonization
FATF
MiCA
Legal framework

ABSTRACT

The development of digital money is fundamentally transforming the legal architecture of contemporary financial relations. Traditional monetary systems were grounded in state monetary sovereignty and centralized issuance; the proliferation of digital money has, however, presented entirely new challenges for the law. This study employs normative, comparative, and systemic analysis. The objects of comparative inquiry are the international standards of the Financial Action Task Force (FATF), the European Union legal framework (MiCA, AMLD5/AMLD6, TFR, NIS2), and the current legislation of Georgia. The research demonstrates that Georgia's AML/CFT-oriented framework establishes a foundation for financial security yet reveals systemic deficiencies: an absence of asset classification, a lack of codified Travel Rule provisions, weak consumer protection mechanisms, fragmented cybersecurity regulation, and judicial-enforcement conflicts. The optimal path for Georgia is not the mechanical transposition of MiCA, but rather a functional, proportionate, and phased harmonization grounded in the principles of security, proportionality, and technological neutrality. The proposed harmonization model aims not only to increase legal certainty but also to balance financial stability, innovation, and market efficiency.

¹ Corresponding author.

E-mail addresses: nino.jolia@ciu.edu.ge (N.Jolia).

ORCID: <https://orcid.org/0009-0009-1454-650X>

ციფრული ფულის სამართლებრივი რეგულირება: საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მოდელი

ნინო ჯოლია ^{ა2}

^ა დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტატიის შესახებ	აბსტრაქტი
<p><i>საკვანძო სიტყვები:</i></p> <p>ციფრული ფული ჰარმონიზაცია FATF MiCA სამართლებრივი ჩარჩო</p>	<p>ციფრული ფულის განვითარება ფუნდამენტურად ცვლის თანამედროვე საფინანსო ურთიერთობების სამართლებრივ არქიტექტურას. ტრადიციული ფულადი სისტემები ეფუძნებოდა სახელმწიფოს მონეტარულ სუვერენიტეტს და ცენტრალიზებულ ემისიას, ციფრული ფულის გავრცელებამ კი სამართლის წინაშე სრულიად ახალი გამოწვევები წარმოქმნა. კვლევა ეფუძნება ნორმატიულ, კომპარატივისტულ და სისტემურ ანალიზს. შედარებითი კვლევის ობიექტებია FATF-ის საერთაშორისო სტანდარტები, ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩო (MiCA, AMLD5/AMLD6, TFR, NIS2) და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა. კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს AML/CFT-ზე ორიენტირებული ჩარჩო ფინანსური უსაფრთხოების საფუძველს ქმნის, მაგრამ ავლენს სისტემურ ხარვეზებს: კლასიფიკაციის ნაკლებობა, Travel Rule-ის კოდიფიკაციის არარსებობა, მომხმარებელთა დაცვის სუსტი მექანიზმები, კიბერუსაფრთხოების სეგმენტაცია და სასამართლო-სააღსრულებო კოლიზიები. საქართველოსთვის ოპტიმალური გზა არ არის MiCA-ს მექანიკური კოპირება, არამედ ფუნქციური, პროპორციული და ეტაპობრივი ჰარმონიზაცია უსაფრთხოების, პროპორციულობისა და ტექნოლოგიური ნეიტრალობის პრინციპებზე დაყრდნობით. შემოთავაზებული ჰარმონიზაციის მოდელი მიზნად ისახავს არა მხოლოდ სამართლებრივი განსაზღვრულობის გაზრდას, არამედ ფინანსური სტაბილურობის, ინოვაციისა და ბაზრის ეფექტიანობის დაბალანსებასაც.</p>

² ავტორი კორესპონდენტი.
ელექტრონული ფოსტა: nino.jolia@ciu.edu.ge (ნ.ჯოლია).
ORCID: <https://orcid.org/0009-0009-1454-650X>

1. შესავალი

ციფრული ფულის³ განვითარებამ ფუნდამენტურად შეცვალა თანამედროვე საფინანსო ურთიერთობების სამართლებრივი არქიტექტურა. თუ ტრადიციული ფულადი სისტემები ეფუძნებოდა სახელმწიფოს მონეტარულ სუვერენიტეტს, ცენტრალიზებულ ემისიასა და მკაცრად განსაზღვრულ საბანკო შუამავლობას, ციფრული ფულის გავრცელებამ სამართლის წინაშე სრულიად ახალი რეალობა დააყენა, სადაც ფინანსური ურთიერთობები ხშირად სცდება ერთ იურისდიქციას, ხორციელდება დეცენტრალიზებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ფარგლებში და მოითხოვს უფრო მოქნილ სამართლებრივ მიდგომებს (De Filippi & Wright, 2018; Brummer, 2019).

ციფრული ფულის სამართლებრივი ბუნებისა და კონცეპტუალური მახასიათებლების ანალიზმა აჩვენა, რომ იგი ვერ ექცევა კლასიკური ფულის სამართლებრივ კატეგორიებში. შემდგომი კვლევისას კი გამოვლინდა, რომ საერთაშორისო ტრანზაქციები, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები, კიბერუსაფრთხოება, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტები და კერძო ციფრული ფული ქმნის გამოწვევებს, რომლებსაც ეროვნული სამართლებრივი სისტემები ვერ უმკლავდება იზოლირებულად.

ამ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის საკითხი, როგორც ციფრული ფულის რეგულირების მთავარი სამართლებრივი მექანიზმი. პრაქტიკა ადასტურებს, რომ რეგულირების ცენტრალურ საყრდენად ყალიბდება საერთაშორისო soft law-ზე დაფუძნებული სტანდარტები, მათ შორის ფინანსური ქმედებების სამუშაო ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები და ევროკავშირის ყოვლისმომცველი მარეგულირებელი ჩარჩო (FATF, 2024; Zatti & Barresi, 2021).

წინამდებარე სტატიის მიზანია ციფრული ფულის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის სამართლებრივი მოდელის ჩამოყალიბება საქართველოს კანონმდებლობის კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღებით AML/CFT და კიბერუსაფრთხოების სამართლებრივი მექანიზმებისადმი. კვლევის საგანია საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიული აქტების ურთიერთმიმართება, ობიექტი – ციფრული ფული, როგორც ტრანსნაციონალური საფინანსო-სამართლებრივი ინსტიტუტი.

კვლევა ეფუძნება ნორმატიულ, კომპარატივისტულ და სისტემურ ანალიზს და მიზნად ისახავს არა მხოლოდ არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეფასებას, არამედ საქართველოსთვის ადაპტირებული ჰარმონიზაციის სამართლებრივი მოდელის

³ წინამდებარე სტატიაში ტერმინი „ციფრული ფული“ გამოიყენება როგორც ქოლგა-ტერმინი, რომელიც, კონტექსტის შესაბამისად, მოიცავს როგორც კერძო კრიპტოაქტივებსა და ვირტუალურ აქტივებს, ისე ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტას (CBDC).

შეთავაზებას. ნაშრომი წარმოადგენს სიახლეს ქართული სამართლის მეცნიერებისთვის, ვინაიდან პირველად ხორციელდება ციფრული ფულის სამართლებრივი რეგულირების კომპლექსური კვლევა, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებიდან ეროვნულ იმპლემენტაციამდე სრულ სამართლებრივ ციკლს (World Bank, 2022).

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ციფრული ფულის სამართლებრივი რეგულირების სფეროში სამეცნიერო ლიტერატურა შედარებით ახალია, თუმცა უკვე ჩამოყალიბდა რამდენიმე ძირეული სამეცნიერო მიმართულება.

საერთაშორისო soft law-ის სამართლებრივი ბუნების თეორიული საფუძვლები ყველაზე სრულყოფილად Chris Brummer-ის მონოგრაფიაშია წარმოდგენილი (Brummer, 2019). ავტორი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ფინანსური სამართალი ხშირად ეფუძნება იურიდიულად არასავალდებულო, თუმცა ეკონომიკური ზეწოლის მექანიზმებით გამყარებულ ნორმებს. ეს კონცეფცია პირდაპირ გამოიყენება FATF-ის რეკომენდაციების სამართლებრივი ბუნების ახსნისთვის.

ბლოკჩეინ ტექნოლოგიისა და სამართლის ურთიერთმიმართების ფუნდამენტური კვლევა De Filippi-სა და Wright-ის ერთობლივ ნაშრომს ეკუთვნის (De Filippi & Wright, 2018). ავტორები აღნიშნავენ, რომ ბლოკჩეინ ტექნოლოგია ქმნის ე.წ. lex cryptographia-ს – სამართლებრივ სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს ტრადიციული სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტებისგან დამოუკიდებლად. ეს დასკვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია VASP-ების რეგულირების სამართლებრივი ლოგიკის გასაგებად.

კრიპტოაქტივების კერძო სამართლებრივი სტატუსი – საკუთრება, ვალდებულებები, სახელშეკრულებო ურთიერთობები – სისტემურად შეისწავლეს Fox-მა და Green-მა (Fox & Green, 2019). მათი კვლევა აჩვენებს, რომ კრიპტოაქტივები, მიუხედავად ნოვაციური ბუნებისა, ინგლისური საერთო სამართლის ქვეშ ქონებრივ ობიექტებად შეიძლება ჩაითვალოს. ეს მიდგომა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული სამოქალაქო სამართლის ადაპტაციის კონტექსტში.

UK Jurisdiction Taskforce-ის 2019 წლის სამართლებრივი განცხადება (UK Jurisdiction Taskforce, 2019) წარმოადგენს პრაქტიკული სამართლის სფეროში ყველაზე გავლენიან დოკუმენტს – პირველ ავტორიტეტულ მცდელობას, კრიპტოაქტივების სამართლებრივი სტატუსი ჩამოყალიბებული სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე განსაზღვროს. განცხადება ადასტურებს, რომ კრიპტოაქტივები საკუთრების უფლების ობიექტებს წარმოადგენენ.

ციფრული ფულის ეკონომიკური სამართლის კუთხით, კერძოდ, CBDC-ისა და ციფრული ემისიის სამართლებრივი ჩარჩოს გარშემო, ფუნდამენტური კვლევა Zatti-სა და Barresi-ს ეკუთვნის (Zatti & Barresi, 2022). ნაშრომი განიხილავს ციფრული ფულის ემისიის მონეტარული სუვერენიტეტის, ცენტრალური ბანკის ფუნქციისა და კერძო სექტორის ინტერმედიაციის სამართლებრივ ასპექტებს – საკითხები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქართველოს ციფრული ლარის პროექტს.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ციფრული ვალუტისა და ციფრული აქტივების სამართლებრივი რეგულირების საკითხი ჯერ კიდევ შედარებით ნაკლებად არის განვითარებული, თუმცა უკვე იკვეთება მნიშვნელოვანი კვლევითი ხაზი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზვიად გაბისონიას წვლილი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დასვა ციფრული ვალუტის სამართლებრივი კვალიფიკაციის ფუნდამენტური კითხვები და აღნიშნა, რომ ციფრული ვალუტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა ეროვნულ დონეზე კვლავ ღია და საკამათო პრობლემად რჩება (გაბისონია, 2022). ამ კვლევით ჩარჩოს არსებითად ავითარებენ მარიამ ჩილაჩავა, გიორგი ჟორჟოლიანი, ნიკოლოზ ნურაშვილი, ზურაბ ბიჭოლაშვილი და სოფო ბლაგიაძე, რომელთა ნაშრომებში განხილულია კრიპტოვალუტის კერძო-სამართლებრივი კლასიფიკაცია, ვირტუალური ქონების სანივთო-სამართლებრივი ბუნება, სამოქალაქო პასუხისმგებლობა, კრიპტოგრაფიული აქტივების საგადასახადო და რეგულაციური საკითხები, ასევე ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC), მათ შორის ციფრული ლარის, სამართლებრივი სტატუსი, საკუთრების უფლება და კეთილსინდისიერი შემძენის დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მკვლევართა ნაშრომები მნიშვნელოვან დოქტრინულ ბაზას ქმნის, ციფრული ფულის სამართლებრივი რეგულირება და CBDC-ის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული ნორმატიული მოდელი ქართულ სამეცნიერო სივრცეში კვლავ ნაკლებად არის სისტემურად გამოკვეთილი, რის გამოც წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ამ დეფიციტის ნაწილობრივ შევსებას და ციფრული ფულის სამართლებრივი რეგულირების ჰარმონიზაციის მოდელის კონცეპტუალიზაციას.

3. მასალები და მეთოდები

წინამდებარე კვლევა თეორიული და დოკუმენტური ხასიათისაა. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი ეყრდნობა სამართლებრივი კვლევის სამ ძირეულ მეთოდს.

ნორმატიული ანალიზი: კვლევის ძირითადი ობიექტია პირველადი სამართლებრივი წყაროები – FATF-ის რეკომენდაციები, ევროკავშირის რეგულაციები და დირექტივები (MiCA, AMLD5/6, TFR, NIS2, GDPR) და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა (AML/CFT კანონი, NBG კანონი, N94/04 ბრძანება, სამოქალაქო კოდექსი, კონსტიტუცია).

ყველა ნორმატიული წყარო ოფიციალურ გამოცემებსა და ბაზებზეა დაფუძნებული და მკითხველისთვის ღიად ხელმისაწვდომია.

კომპარატივისტული მეთოდი: საერთაშორისო სტანდარტები, ევროკავშირის სამართლებრივი მოდელი და საქართველოს ეროვნული ჩარჩო შედარებითი ანალიზის საგანია. შედარება ხორციელდება ფუნქციური ეკვივალენტობის პრინციპზე – გაანალიზებულია არა ნორმების ფორმალური სახე, არამედ მათი ფუნქციური შედეგი.

სისტემური ანალიზი: ციფრული ფულის სამართლებრივი ჩარჩო გაანალიზებულია, როგორც ურთიერთდაკავშირებული ნორმების სისტემა – საჯარო სამართლიდან (AML/CFT, კიბერუსაფრთხოება) კერძო სამართლამდე (სანივთო, ვალდებულებითი, სააღსრულებო). ეს მიდგომა ავლენს სისტემური ხარვეზებს, რომლებიც ფრაგმენტული ანალიზით შეუმჩნეველი რჩება.

კვლევაში გამოყენებული ყველა სამართლებრივი წყარო ოფიციალურად გამოქვეყნებული და ღიად ხელმისაწვდომია. ეროვნული სამართლებრივი წყაროები ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე (matsne.gov.ge), ევროკავშირის სამართლებრივი აქტები – EUR-Lex-ის ოფიციალურ ბაზაში (eur-lex.europa.eu), ხოლო FATF-ის დოკუმენტები – ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე (fatf-gafi.org). შესაბამისად, კვლევის პირველადი წყაროების გამოყენება დამატებით ნებართვას არ მოითხოვს.

4. შედეგების განხილვა

4.1. საერთაშორისო Soft Law და FATF: ციფრული ფულის გლობალური სამართლებრივი ჩარჩო

4.1.1. Soft Law-ს სამართლებრივი ბუნება და ფუნქციური ტრანსფორმაცია

ციფრული ფულის რეგულირების ფუნდამენტური თავისებურება ის არის, რომ მისი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო ჩამოყალიბდა არა კლასიკური საერთაშორისო ხელშეკრულებების, არამედ soft law-ის (რბილი სამართალი) ინსტრუმენტების მეშვეობით. აღნიშნული განპირობებულია ციფრული ფულის ტრანსნაციონალური ბუნებითა და ტექნოლოგიური ნეიტრალობით – ტრადიციული სამართლის ფორმალური წყაროები ვერ უზრუნველყოფენ სწრაფ სამართლებრივ რეაგირებას ტექნოლოგიურ ინოვაციებზე (Brummer, 2019; BIS, 2018).

საერთაშორისო სამართლის თეორიაში soft law განიმარტება, როგორც ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ფორმალურად არ ატარებს იურიდიულად სავალდებულო ძალას, თუმცა ქმნის სახელმწიფოთა ქცევის სტანდარტებს და გავლენას ახდენს მათ სამართლებრივ პოლიტიკაზე (Brummer, 2019). ფინანსური სამართლის სფეროში ამ ნორმების როლი მნიშვნელოვნად იზრდება, ვინაიდან მათი შესრულება უშუალოდ უკავშირდება

სახელმწიფოს ფინანსურ სტაბილურობას, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე წვდომასა და საბანკო კორესპონდენტური ურთიერთობების შენარჩუნებას.

ციფრული ფულის კონტექსტში soft law გარდაიქმნება დე ფაქტო ნორმატიულ ჩარჩოდ, რომლის უგულებელყოფა სახელმწიფოსთვის სერიოზულ ეკონომიკურ შედეგებს იწვევს (De Filippi & Wright, 2018). სახელმწიფოები ახორციელებენ სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესს ფორმალური ხელშეკრულების გარეშე, ვინაიდან სტანდარტების შეუსრულებლობა ეკონომიკური ბლოკირების ფორმით ისჯება. ეს პროცესი თანამედროვე ფინანსური სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს.

იურიდიული დოქტრინის თვალსაზრისით, ნორმის სავალდებულო ძალა აღარ განისაზღვრება მხოლოდ მისი ფორმალური წყაროთი, არამედ იმ რეალური შედეგებით, რაც მის შეუსრულებლობას მოჰყვება. ამ მოსაზრების მიხედვით, soft law ციფრული ფულის სფეროში ფუნქციურად საჯარო სამართლის სავალდებულო ნორმებს უახლოვდება. “Soft law” და “hard law” შორის ზღვარი ამ სფეროში სულ უფრო პირობითი ხდება, აღნიშნული კი კლასიკური საერთაშორისო სამართლის თეორიისთვის ახალ გამოწვევას წარმოადგენს (Zatti & Barresi, 2021).

4.1.2. FATF-ის რეკომენდაციები: სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული ძალა

ფინანსური ქმედებების სამუშაო ჯგუფი (Financial Action Task Force – FATF) თავისი სტატუსით არ არის კლასიკური საერთაშორისო ორგანიზაცია და არ ფლობს ხელშეკრულებით მინიჭებულ ნორმატიულ კომპეტენციას. მიუხედავად ამისა, მისი რეკომენდაციები პრაქტიკაში სახელმწიფოებისთვის ფაქტობრივად სავალდებულო ჩარჩოდ არის მიჩნეული (FATF, 2024). ეს ფენომენი თანამედროვე საერთაშორისო ფინანსური სამართლის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მაგალითს წარმოადგენს.

FATF-ის ნორმატიული ძალა ორ კომპლემენტარულ მექანიზმს ეყრდნობა. პირველი – ურთიერთშეფასების (mutual evaluation) პროცესი: ყოველი წევრი სახელმწიფო რეგულარულად ექვემდებარება საქმიანობის შეფასებას. მეორე – “შავი” და “ნაცრისფერი” სიების ინსტრუმენტი: სიებში მოხვედრა საბანკო კორესპონდენტური ურთიერთობების შეწყვეტას, საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის შეზღუდვასა და ინვესტიციებისგან გაქცევას იწვევს (FATF, 2024). ეს მექანიზმები ქმნის ისეთ ეკონომიკურ ზეწოლას, რომ სტანდარტების უგულებელყოფა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

ციფრული ფულის კონტექსტში FATF-ის 15-ე რეკომენდაცია ძირითადი საკვანძო დოკუმენტია. ეს რეკომენდაცია სახელმწიფოებს ავალდებულებს: (ა) გამოავლინონ ვირტუალური აქტივებით გამოწვეული AML/CFT რისკები; (ბ) შემოიღონ VASP-ების სავალდებულო ლიცენზირება ან რეგისტრაცია; (გ) უზრუნველყონ ეფექტიანი

ზედამხედველობა; (დ) შექმნან პროპორციული სანქციების სისტემა (FATF Recommendation 15; FATF, 2019).

FATF-ის განმარტებითი შენიშვნები ვირტუალური აქტივის (Virtual Asset) და VASP-ის (Virtual Asset Service Provider) სამართლებრივ დეფინიციებს ქმნის (FATF, 2019). ეს დეფინიციები ეფუძნება ფუნქციური რეგულირების პრინციპს: მარეგულირებელი ვალდებულებები ვრცელდება სუბიექტის ეკონომიკური ფუნქციის, და არა ფორმალური იურიდიული სტატუსის მიხედვით. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს რეგულატორული არბიტრაჟის რისკს – სახელმწიფოებს შორის განსხვავებული სამართლებრივი ჩარჩოების გამოყენებას საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად.

4.1.3. Travel Rule: სამართლებრივი გამოწვევები და ეროვნული იმპლემენტაციის პრობლემატიკა

"Travel Rule" ციფრული ფულის რეგულირების ყველაზე კომპლექსური, მაგრამ ამავდროულად საკვანძო სამართლებრივი ელემენტია. FATF-ის რეკომენდაციების საფუძველზე ეს წესი ვირტუალური აქტივების ტრანზაქციებზე გავრცელდა: ფინანსური შუამავლები ვალდებული არიან გადამგზავნისა და მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები ტრანზაქციასთან ერთად გადასცენ (FATF, 2019).

ტრადიციულ ფინანსურ სისტემაში Travel Rule ეფუძნება ცენტრალიზებულ საბანკო მოდელს, სადაც ფინანსური შუამავლები იდენტიფიცირებული სუბიექტები არიან. ციფრული ფულის დეცენტრალიზებული არქიტექტურა ამ მიდგომის პრაქტიკულ გამოყენებას ართულებს – განსაკუთრებით non-custodial wallet-ების შემთხვევაში, სადაც ფინანსური შუამავალი კლასიკური გაგებით არ არსებობს (BIS, 2018).

Travel Rule-ის იმპლემენტაცია სამართლებრივ კოლიზიას წარმოქმნის ორ ძირეულ ღირებულებას შორის: ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და პირადი მონაცემების დაცვა (GDPR, 2016, Art. 5(1)(e)). ეს ბალანსი, განსაკუთრებით GDPR-ის მკაცრი სტანდარტების გათვალისწინებით, სახელმწიფოებს ორმაგი ვალდებულების წინაშე აყენებს: დაიცვან ერთდროულად AML/CFT სტანდარტები და მონაცემთა სუბიექტის ძირეული კონსტიტუციური უფლებები.

ციფრული ფულის სამართლებრივი სტატუსის ბუნდოვანება პრაქტიკულ ეკონომიკურ ზიანსაც წარმოშობს, მათ შორის საგადასახადო კვალიფიკაციის სირთულეს, ინვესტორთა გაურკვეველობას და ბაზარზე ტრანზაქციული ხარჯების ზრდას. ამასთან, ციფრული აქტივების მიმართ ყადაღის, რეალიზაციისა და სხვა იძულებითი აღსრულების მკაფიო მექანიზმების არარსებობა ასუსტებს მათ გამოყენებას საკრედიტო უზრუნველყოფისა და ფინანსური გარანტიების ინსტრუმენტად.

Travel Rule ასევე ექსტრატერიტორიული ეფექტების პრობლემას წარმოქმნის – ვირტუალური ტრანზაქციები ხშირად სცდება ერთი სახელმწიფოს იურისდიქციას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეფექტიანი რეგულირება მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტების ჰარმონიზაციას და ეროვნულ ჩარჩოებს შორის ინტეროპერაბელობას.

4.2. ევროკავშირის სამართლებრივი მოდელი: MiCA, AMLD5/6, TFR, NIS2

4.2.1. MiCA რეგულაციის სამართლებრივი ლოგიკა, კლასიფიკაცია და მიზნები

ევროკავშირის კრიპტოაქტივების ბაზრების რეგულაცია (Markets in Crypto-Assets Regulation – MiCA Regulation (EU) 2023/1114) წარმოადგენს ციფრული ფულის რეგულირების პირველ ყოვლისმომცველ სამართლებრივ ჩარჩოს რეგიონულ დონეზე. MiCA-ს მიღება განპირობებულია ევროკავშირის სამი ძირეული სტრატეგიული მიზნით: ფინანსური ბაზრების სტაბილურობის უზრუნველყოფა, მომხმარებელთა ეფექტიანი დაცვა და შიდა ბაზრის ერთიანი ფუნქციონირება ციფრული ფინანსების გარემოში (MiCA, Recitals 1-12).

სამართლებრივი ფორმის არჩევანი – რეგულაცია, და არა დირექტივა – მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიგნალია. რეგულაცია პირდაპირ გამოიყენება ყველა წევრ სახელმწიფოში დამატებითი ტრანსპოზიციის გარეშე, რაც ასახავს ევროკავშირის სტრატეგიული კურსს – თავიდან იქნეს აცილებული ეროვნული ჩარჩოების ფრაგმენტაცია და უზრუნველყოფილ იქნეს სამართლებრივი ერთიანობა (MiCA, Recital 3).

MiCA-ს სამართლებრივი კლასიფიკაციური სისტემა სამ ძირეულ კატეგორიას განასხვავებს: (ა) აქტივზე მიბმული ტოკენები (asset-referenced tokens – ART), მათი ღირებულება სხვა აქტივების კალათაზეა დამოკიდებული; (ბ) ელექტრონული ფულის ტოკენები (e-money tokens – EMT), ერთ ფიატ ვალუტაზე მიბმული ციფრული ფული; (გ) სხვა კრიპტოაქტივები, რომლებიც ამ კატეგორიებს არ მიეკუთვნება (MiCA, Art. 3-4). ეს სამ-დონიანი კლასიფიკაცია პროპორციულობის პრინციპს ეფუძნება, რაც მაღალია სისტემური რისკი, მით მკაცრია რეგულაციური მოთხოვნები.

MiCA-ს ერთ-ერთი ცენტრალური ვალდებულება – White Paper: ემიტენტები ვალდებულნი არიან მარეგულირებლის მიერ დამტკიცებული დეტალური ინფორმაციული დოკუმენტი გამოაქვეყნონ (MiCA, Art. 4-15). ეს ვალდებულება ინვესტორთა ინფორმირებული გადაწყვეტილების სამართლებრივ გარანტიას ქმნის და ევროკავშირის ფინანსური ბაზრების სამართლის პრინციპებს ციფრულ გარემოში ავრცელებს. ზედამხედველობის ინსტიტუციური ჩარჩო ეფუძნება EBA-სა და ESMA-ს კომპეტენციების გამიჯვნას (MiCA, Art. 62-66).

4.2.2. AMLD5/AMLD6 და TFR: AML/CFT ინტეგრირებული სამართლებრივი მოდელი

ევროკავშირის ციფრული ფულის რეგულირების მოდელი MiCA-ს მიღმა ვრცელდება – AML/CFT ჩარჩო ორ ძირეულ დირექტივასა და ერთ რეგულაციაზე დაყრდნობილი. AMLD5 (Directive (EU) 2018/843) პირველი ევროკავშირის სამართლებრივი აქტია, რომელმაც AML/CFT ვალდებულებები ვირტუალური ვალუტების სფეროზე პირდაპირ გაავრცელა (AMLD5, Art. 1(2)(d)). ამ დირექტივის მიხედვით, ვირტუალური ვალუტების გამცვლელები და კასტოდიალური საფულეების პროვაიდერები სავალდებულო რეგისტრაციას, მომხმარებლის იდენტიფიკაციასა და ტრანზაქციების მონიტორინგს დაექვემდებარნენ.

AMLD6 (Directive (EU) 2018/1673) ამყარებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ჰარმონიზაციას. დირექტივა ადგენს ფულის გათეთრების დანაშაულის მინიმალურ შემადგენლობას, პასუხისმგებელ სუბიექტთა წრეს და სანქციების ქვედა ზღვარს ყველა წევრ სახელმწიფოში (AMLD6, Art. 3-7). ეს ჰარმონიზაცია მნიშვნელოვანია, ვინაიდან ციფრული ფულის ტრანსსასაზღვრო ბუნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფრაგმენტაციის შემთხვევაში სამართლებრივ ხარვეზებს ქმნის.

Transfer of Funds Regulation (TFR, Regulation (EU) 2023/1113) ევროკავშირის Travel Rule-ის ეკვივალენტია. განსხვავებით AMLD5-ისა და AMLD6-ისგან, TFR, როგორც რეგულაცია, პირდაპირ გამოიყენება ყველა წევრ სახელმწიფოში. ის CASP-ებს (Crypto-Asset Service Providers) ავალდებულებს გადამგზავნ-მიმღების სრული საიდენტიფიკაციო ინფორმაციის შეგროვებას, შენახვასა და გადაცემას ყოველი ტრანზაქციისას (TFR, Art. 4-7). ეს TFR-ს ეფექტიანობა AML/CFT მიზნებისთვის კრიტიკულ პირობად განსაზღვრავს.

4.2.3. NIS2 დირექტივა: კიბერუსაფრთხოება ციფრული ფინანსების კონტექსტში

ევროკავშირის ციფრული ფულის სამართლებრივი ჩარჩო კიბერუსაფრთხოების განზომილებასაც მოიცავს. Directive (EU) 2022/2555 (NIS2) კრიპტოაქტივების სერვის-პროვაიდერებს "მნიშვნელოვანი ან არსებითი სუბიექტების" კატეგორიაში მოიაზრებს (NIS2, Annex I-II). ეს კლასიფიკაცია გაძლიერებულ უსაფრთხოების ვალდებულებებს ადგენს.

NIS2 ადგენს რისკზე დაფუძნებული კიბერ-უსაფრთხოების ზომებს (NIS2, Art. 21): ინციდენტების პრევენცია, გამოვლენა და სწრაფი რეაგირება; სავალდებულო შეტყობინება მნიშვნელოვანი ინციდენტების შესახებ 24-72 საათის ვადაში (NIS2, Art. 23-24); მკაცრი სანქციები ვალდებულებების დარღვევისთვის (NIS2, Art. 34). ეს ჩარჩო ხაზს უსვამს ევროკავშირის ხედვას: ფინანსური და კიბერ-უსაფრთხოება განუყოფელი სფეროებია.

4.2.4. ევროკავშირის მოდელის კრიტიკული შეფასება

ევროკავშირის ჩარჩო, ყველა სიძლიერის მიუხედავად, სამართლებრივ გამოწვევებს ავლენს. პირველი – ზედმეტი ნორმატიული სიღრმე ინოვაციის სივრცეს ამცირებს სწრაფად

ცვალებად ტექნოლოგიურ გარემოში. MiCA-ს 126 მუხლი და ფართო დელეგირებული სამართალი კანონის გამომყენებლებს და ბაზრის მონაწილეებს გამოწვევებს უქმნის.

მეორე – compliance ხარჯების ბარიერი: MiCA, AMLD5/6, TFR და NIS2-ის ერთობლიობა ბაზრის მონაწილეებს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ტვირთს აწვება. ეს განსაკუთრებით მცირე VASP-ებისთვის ბაზარზე შესვლის ბარიერია – ანტიკომპეტციური ეფექტის საშიშროება სამართლებრივ ყურადღებას იმსახურებს (Brummer, 2019).

მესამე – GDPR/AML-ის ბალანსი: ევროკავშირის მოდელი ერთდროულად ემყარება GDPR-ის მკაცრ სტანდარტებსა და AML/CFT მიზნებისთვის მონაცემთა ინტენსიურ დამუშავებას (GDPR, Art. 17; TFR, Art. 14). ამ ორი მიზნის შეთავსება – განსაკუთრებით მონაცემთა შენახვის ვადებთან მიმართებით – სამართლებრივ გაურკვევლობებს წარმოქმნის.

ამ კრიტიკული შეფასების გათვალისწინებით, ევროკავშირის მოდელი სხვა სახელმწიფოებისთვის მაღალი სტანდარტის, მაგრამ უნივერსალურად ტრანსფერული სისტემა არ არის. საქართველოსთვის მისი ადაპტაცია კრიტიკულ ანალიზსა და პროპორციულ მიდგომას მოითხოვს.

4.3. ციფრული ფულის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში

4.3.1. AML/CFT კანონი და საქართველოს ეროვნული ბანკის N94/04 ბრძანება: მოქმედი ჩარჩო

საქართველოს სამართლებრივი სისტემა ციფრული ფულის რეგულირებაში AML/CFT-ზე ორიენტირებულ, სეგმენტირებულ მოდელს წარმოადგენს. ციფრული ფულის უნივერსალური დეფინიცია და ბაზრის ზოგადი წესები ერთიან სამართლებრივ აქტში კოდიფიცირებული ჯერ არ არის (AML/CFT კანონი).

სისტემის "ბირთვს" ქმნის "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონი (AML/CFT კანონი, მ. 2). ამ კანონის მნიშვნელობა ორმაგია: (ა) ქმნის საჯარო-სამართლებრივ ვალდებულებებს კერძო სუბიექტებისთვის; (ბ) ახდენს FATF-ის რეკომენდაციების იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე.

"საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" კანონმდებლობა ადგენს ზედამხედველობის ფუნქციებს და ლიცენზირების ფუნდამენტურ პრინციპს: ბაზარზე დაშვება გულისხმობს რეგისტრაციასა და ზედამხედველობას ერთდროულად (NBG კანონი, მ. 6(1)(ა); მ. 20). ეს ლოგიკა FATF-ის მე-15 რეკომენდაციის ფუნქციური რეგულირების პრინციპს პირდაპირ ასახავს.

ეროვნული ბანკის N94/04 ბრძანება (15.06.2023) – "ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი" – ყველაზე კონკრეტული ოპერაციული მარეგულირებელი აქტია (NBG, 2023). ის ადგენს: რეგისტრაციის წინაპირობებსა და დოკუმენტაციის ჩარჩოს (N94/04, მ. 3-8); AML/CFT კომპლაინსის ვალდებულებებს (N94/04, მ. 10-15); ზედამხედველობის მექანიზმებს. სანქციების სისტემა – ფულადი ჯარიმები VASP-ებსა და ადმინისტრატორებზე – რეგულირების ეფექტურ აღსრულებას უზრუნველყოფს.

ეროვნული ბანკის ორი სტრატეგიული პოლიტიკური დოკუმენტი მომავლის ხედვას ასახავს: "ციფრული ლარის პროექტი – მოწვევა თანამშრომლობისათვის" (CBDC, NBG, 2021) – ეროვნული ციფრული ვალუტის ინიციატივა ფინანსური ჩართულობისა და გადახდების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით; "საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგია" (NBG, 2024) – ინოვაციისა და უსაფრთხოების ჰარმონიული განვითარების კონცეფცია.

4.3.2. სისტემური ხარვეზები FATF/EU სტანდარტებთან შედარებით

საქართველოს მოდელი სტრუქტურულად FATF-ის მიდგომასთან ახლოს დგას, მაგრამ ევროკავშირის ჩარჩოსთან შედარებით ოთხი სისტემური ხარვეზი გამოიკვეთება.

პირველი – დეფინიციური და კლასიფიკაციური სიცარიელე: MiCA-სგან განსხვავებით, ეროვნულ დონეზე არ არის კრიპტოაქტივების სრულყოფილი ფუნქციური კლასიფიკაცია. ეს სამართლებრივ გაურკვევლობას ქმნის ბაზრის მონაწილეებისთვის (რომელი სამართლებრივი რეჟიმი ვისზე ვრცელდება), ზედამხედველისთვის (რისკების სტრუქტურირება) და მომხმარებლისთვის (დაცვის ფრაგმენტაცია) (FATF, 2019).

მეორე – Travel Rule-ის სისტემური კოდიფიკაციის ნაკლებობა: EU TFR-ის მსგავსი ერთიანი ტრანზაქციული ინფორმაციის გადაცემის მოდელი ეროვნულ სამართალში სისტემურად ჩამოყალიბებული არ არის. ცენტრალური კითხვა: რა მოცულობითა და სამართლებრივი ტექნიკით დაინერგოს იდენტიფიცირებადობა, რომ დაცული იყოს პროპორციულობა და მონაცემთა დაცვის სტანდარტები (GDPR, 2016, Art. 5; TFR, 2023, Art. 14)?

მესამე – მომხმარებელთა დაცვის სპეციალური სისტემის არარსებობა: MiCA-ს white paper ვალდებულება, გამჭვირვალობის სტანდარტები და კონფლიქტების მართვის სპეციალური მექანიზმები ქართულ ჩარჩოში არ არის. ბაზრის ქცევის სამართალი ზოგად ნორმებზეა დამოკიდებული.

მეოთხე – კიბერუსაფრთხოების სეგმენტაცია: NIS2-ის მსგავსი ინტეგრირებული კიბერუსაფრთხოების ჩარჩო ციფრული ფინანსური ინფრასტრუქტურებისთვის არ

არსებობს. VASP-ებზე გამოიყენება საბანკო/საგადახდო სტანდარტები, რაც კიბერ და ოპერაციულ რისკებს ზრდის (NIS2, 2022, Recital 86).

4.3.3. სამართლებრივი კოლიზიები: სასამართლო, სააღსრულებო, სახელშეკრულებო და სანივთო სამართალი

ციფრული ფულის სამართლებრივი ბუნების გაურკვეველობა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში სერიოზული პრაქტიკული კოლიზიების წყაროა. ეს კოლიზიები ოთხ სფეროში ვლინდება.

სასამართლო პრაქტიკაში: კრიპტოაქტივები ვერ ექცევა ცალსახა სამართლებრივ კატეგორიაში – არც ფული, არც ფასიანი ქაღალდი, არც კლასიკური ქონებრივი უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 147-168). ეს ართულებს დავის საგნის განსაზღვრას, სამართლებრივი ნორმების სწორ შერჩევასა და თანმიმდევრული პრაქტიკის ჩამოყალიბებას. სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი ირღვევა (საქართველოს კონსტიტუცია, მ. 31).

სააღსრულებო წარმოებაში: კრიპტოაქტივების კონფისკაცია ან იძულებითი რეალიზაცია სამ ფუნდამენტურ პრობლემას ეჯახება – იდენტიფიცირება, კერძო გასაღებებზე სამართლებრივი წვდომა და ტექნიკური კონტროლი. "სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი ტრადიციულ ქონებრივ ობიექტებზეა ორიენტირებული და ამ გამოწვევებს ვერ პასუხობს. შედეგად, სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება ფაქტობრივად შეუსრულებელი დარჩეს.

სახელშეკრულებო სამართალში: ციფრული ფულის გამოყენება ანგარიშსწორებაში ან კონტრაქტის საგნად სამ კომპლექსურ სამართლებრივ კითხვას ბადებს – ვალდებულების შესრულების საშუალებად კრიპტოაქტივის სტატუსი, ფასობრივი ვოლატილობა და კიბერ-ინციდენტებისას რისკების განაწილება (UK Jurisdiction Taskforce, 2019; სამოქალაქო კოდექსი, მ. 316-340).

სანივთო სამართალში: ცენტრალური კითხვა – შეიძლება კრიპტოაქტივი საკუთრების უფლებად ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლის გაგებით (სამოქალაქო კოდექსი, მ. 170-315). ციფრული "საკუთრება" კერძო გასაღების ფლობაზეა დამოკიდებული – სამართლებრივი ლოგიკა, რომელიც კლასიკური სანივთო სამართლისთვის უცხოა (Fox & Green, 2019). ეს გამოწვევები სამემკვიდრეო, მეუღლეთა ქონებასა და გაკოტრების სამართალში განსაკუთრებით მწვავედება (Fox & Green, 2019).

4.4. ჰარმონიზაციის სამართლებრივი მოდელი საქართველოსთვის

4.4.1. ჰარმონიზაციის კონცეფცია, მიზანი და სამი ძირეული პრინციპი

ჰარმონიზაცია ციფრული ფულის კონტექსტში ტექნიკური ვალდებულება კი არ არის, არამედ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის სტრატეგიული განვითარების მიმართულება (World Bank, 2022). საქართველოსთვის ოპტიმალური მოდელი არ უნდა იყოს MiCA-ს მექანიკური კოპირება – ეს ქვეყნის ეკონომიკური მასშტაბისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გათვალისწინებაზე ზრუნვას ნიშნავს.

ჰარმონიზაციის სამართლებრივი მოდელი სამ ფუნდამენტურ პრინციპს ეყრდნობა. პირველი – უსაფრთხოება: ფინანსური სისტემის სტაბილურობა და უკანონო საქმიანობის პრევენცია ყველა სხვა ღირებულებაზე პრიორიტეტულია (FATF, 2021). მეორე – პროპორციულობა: მარეგულირებელი მოთხოვნები შეესაბამება საქმიანობის რისკის დონეს; მცირე VASP-ებს ნაკლები compliance ტვირთი ეკისრებათ, მაღალი რისკის სუბიექტებს – მეტი (Brummer, 2019). მესამე – ტექნოლოგიური ნეიტრალობა: სამართლებრივი ნორმები ეფექტურა ორიენტირებული და არა კონკრეტულ ტექნოლოგიაზე (OECD, 2019).

4.4.2. ჩარჩო-კანონი "კრიპტოაქტივებისა და ციფრული ფულის შესახებ"

ჰარმონიზაციის ცენტრალური სამართლებრივი ინსტრუმენტია სპეციალური ჩარჩო-კანონი "კრიპტოაქტივებისა და ციფრული ფულის შესახებ" ინიცირება. ამ კანონმა უნდა უზრუნველყოს: (ა) კრიპტო-აქტივების ფუნქციური კლასიფიკაცია სამართლებრივი სტატუსით; (ბ) ბაზრის ქცევის წესები და მომხმარებელთა დაცვის მინიმალური სტანდარტები; (გ) AML/CFT ჩარჩოს ბაზრის ზოგად წესებთან ინტეგრაცია (FATF, 2019).

საქართველოს ეროვნული ბანკის N94/04 ბრძანება კარგი საწყისი პლატფორმაა, მაგრამ ჰარმონიზაციისთვის დამატებითი სამართლებრივი ელემენტები საჭიროა: მმართველობითი მოთხოვნების გამკაცრება (fit and proper, ადმინისტრატორების პასუხისმგებლობა); ბიზნეს-მოდელზე დაფუძნებული კატეგორიზაცია (custody / exchange / transfer); ზედამხედველობის პროპორციული გამკაცრება რისკის დონის მიხედვით (N94/04, 2023).

4.4.3. Travel Rule-ის ეტაპობრივი იმპლემენტაცია

Travel Rule-ის სისტემური კოდიფიკაცია სამ ეტაპად: პირველი ეტაპი – მაღალი რისკის ოპერაციებზე ფოკუსი (სარისკო ქვეყნებთან ტრანზაქციები, 500+ ლარი). მეორე ეტაპი – მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის ჩარჩო: GDPR-ის ანალოგიური მექანიზმებია საჭირო, სანამ სრული ტრანზაქციული გამჭვირვალობა დაინერგება (GDPR, 2016, Art. 5). მესამე ეტაპი – საერთაშორისო ურთიერთთავსებადობა რეგიონულ პარტნიორებთან (TFR, 2023, Art. 4-14).

4.4.4. კერძო სამართლის მოდერნიზაცია: სანივთო, ვალდებულებითი, სააღსრულებო

ჰარმონიზაციის სამართლებრივი მოდელი კერძო სამართლის ადაპტაციის გარეშე სრული ვერ იქნება. სამ სფეროში ნორმების გადასინჯვა საჭიროა.

სანივთო სამართალში – კრიპტოაქტივების ქონებრივ ობიექტად სამართლებრივი აღიარება: UK Jurisdiction Taskforce-ის 2019 წლის Legal Statement ადასტურებს, რომ კრიპტოაქტივები ქონებრივ ობიექტებს წარმოადგენენ (UK JT, 2019, para. 115). ეს სასამართლო და სააღსრულებო კოლიზიებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ვალდებულებით სამართალში – კრიპტო-კონტრაქტების სპეციალური ნორმები: ვოლატილობის მართვა, force majeure კიბერ-ინციდენტებისთვის, smart contract-ების სამართლებრივი სტატუსი (UK JT, 2019, para. 130-138). სააღსრულებო სამართალში – ციფრული აქტივების იდენტიფიცირებისა და კონფისკაციის ტექნიკური პროცედურები "სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონში.

4.4.5. ციფრული ლარი (CBDC): ჰარმონიზაციის სამართლებრივი ტესტი

საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური ციფრული ვალუტის (CBDC) ინიციატივა (ციფრული ლარი, NBG, 2021) ჰარმონიზაციის სამართლებრივი მოდელის ყველაზე კომპლექსური გამოცდაა. CBDC-ის დანერგვა სწრაფ ტექნოლოგიურ იმპლემენტაციაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ სიღრმისეულ, წინასწარ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ჩარჩოზე, რომელიც მოიცავს საკუთრების, პასუხისმგებლობის, ზედამხედველობისა და მომხმარებელთა დაცვის ძირითადი ინსტიტუტების ადაპტაციას ციფრული ვალუტის რეჟიმთან (BIS, 2020).

ამ ჩარჩომ ოთხ ცენტრალურ სამართლებრივ კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი: (ა) CBDC-ის იურიდიული ბუნება – ცენტრალური ბანკის ვალდებულება, კანონიერი გადახდის საშუალება; (ბ) კონფიდენციალობა/AML ბალანსი; (გ) კერძო სექტორის ინტერმედიაციის სტატუსი; (დ) სარეგულაციო sandbox-ის სამართლებრივი გარანტიები (NBG, 2021; BIS, 2020).

2024 წლის FinTech სტრატეგია (NBG, 2024) policy-to-law ლოგიკის მნიშვნელოვანი მაგალითია. ჰარმონიზაციისთვის კრიტიკულია, რომ სტრატეგიულ დოკუმენტებს ახლდეს: სპეციალური კანონმდებლობის ინიციატივები; ზედამხედველობის გამკაცრება მაღალი რისკის სფეროებში; sandbox და პილოტები ინოვაციური სუბიექტებისთვის.

5. დასკვნა

წინამდებარე კვლევამ ციფრული ფულის სამართლებრივი რეგულირების კომპლექსური ანალიზი განახორციელა საერთაშორისო სტანდარტებიდან ეროვნული იმპლემენტაციამდე. ოთხ ძირეულ დასკვნამდე მივედით.

პირველი – soft law-ის ნორმატიული ტრანსფორმაცია: FATF-ის რეკომენდაციები, Travel Rule და VASP-ების ფუნქციური რეგულირების პრინციპი ფაქტობრივად სავალდებულო გლობალური სტანდარტებია. soft law-სა და hard law-ს შორის საზღვარი ციფრული ფინანსების სფეროში სულ უფრო პირობითი ხდება.

მეორე – ევროკავშირის მოდელის შეფასება: MiCA + AMLD5/6 + TFR + NIS2 ყველაზე სისტემური ჩარჩოა. თუმცა compliance ბარიერები, GDPR/AML ბალანსი და non-custodial wallet-ების სამართლებრივი გამოწვევები კრიტიკულ ადაპტაციას მოითხოვს სხვა სახელმწიფოებში გამოყენებისთვის.

მესამე – საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობა: AML/CFT კანონი და N94/04 ბრძანება კარგი საფუძველია, მაგრამ ოთხი სისტემური ხარვეზი – კლასიფიკაციის ნაკლებობა, Travel Rule-ის არარსებობა, მომხმარებელთა დაცვა, კიბერ-უსაფრთხოება – გადასაწყვეტია. კერძო სამართლის სამართლებრივი კოლიზიები კი ჩვენებენ, რომ რეფორმა საჯარო სამართლის მიღმაც საჭიროა.

მეოთხე – ჰარმონიზაციის სამართლებრივი მოდელი: ჩარჩო-კანონი, Travel Rule-ის ეტაპობრივი იმპლემენტაცია, კერძო სამართლის მოდერნიზაცია და CBDC-ის სამართლებრივი წინასწარ სამზადება – ეს ოთხი ელემენტი ქმნის ფუნქციური, პროპორციული და ეტაპობრივი ჰარმონიზაციის გზამკვლევს საქართველოსთვის.

ჰარმონიზაცია ციფრული ფულის სფეროში ერთჯერადი ნორმატიული აქტი კი არ არის, არამედ დინამიკური სამართლებრივი პროცესია, რომელიც მოითხოვს უწყვეტ ანალიზს, საერთაშორისო გამოცდილების კრიტიკულ შეფასებას და ეროვნული სისტემის თანმიმდევრულ მოდერნიზაციას.

ამდენად, შემოთავაზებული მოდელის ფუნქციური უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად უწყობს ხელს FinTech-სექტორის განვითარებას და ინოვაციის სტიმულირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამყარებს AML/CFT-შესაბამისობას, ზედამხედველობის ეფექტიანობას და მაკროეკონომიკური სტაბილურობის დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს.

ბიბლიოგრაფიული წყაროები

1. ბიჭოლაშვილი, ზ. „ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი“. კერძო სამართლის მიმოხილვა, №6-7, 2025, 235-250.
2. ზლაგიაძე, ს. „სამოქალაქო პასუხისმგებლობა და კრიპტოვალუტა: ახალი სამართლებრივი გამოწვევები ციფრულ ეპოქაში“. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №1, 2026, 49-61.
3. გაბისონია, ზ. ბიტკოინის, როგორც ციფრული ვალუტის სამართლებრივი რეგულირების კონცეპტუალური ასპექტები. შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2019.
4. ნურაშვილი, ნ. „კრიპტოვალუტა, როგორც საკუთრების უფლებით დაცული ინტერესი, და მასთან დაკავშირებული გამოწვევები“. ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები, 2023, 276-289.
5. ჟორჟოლიანი, გ. „ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი“. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №3, 2019, 27-31.
6. ჩილაჩავა, მ. „კრიპტოვალუტის ადგილი კერძო სამართალში და მისი მოწესრიგების პარადიგმა“. სამართლის ჟურნალი, №1, 2023, 77-94.
7. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2021). ციფრული ლარის პროექტი – მოწვევა თანამშრომლობისათვის.
8. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2023, 15 ივნისი). ბრძანება N94/04: ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი.
9. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2024). ფინტექის განვითარების სტრატეგია: საჯარო კონსულტაციის დოკუმენტი.
10. საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ (კონსოლიდირებული).
11. საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“.
12. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 31 (საპროცესო უფლებები).
13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლები 170-315 (საკუთრება); 316-340 (ვალდებულება).
14. „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი.
15. BIS. (2018). Sound Practices: Implications of Fintech Developments.
16. BIS. (2020). Central Bank Digital Currencies: Foundational Principles.
17. Brummer, C. (2019). Soft Law and the Global Financial System. Cambridge University Press.
18. De Filippi, P., & Wright, A. (2018). Blockchain and the Law: The Rule of Code. Harvard University Press.

19. Directive (EU) 2018/843 (AMLD5). European Parliament and Council.
20. Directive (EU) 2018/1673 (AMLD6). European Parliament and Council.
21. Directive (EU) 2022/2555 (NIS2). European Parliament and Council.
22. European Central Bank. (2022). Digital Euro – Legal Framework Considerations.
23. FATF. (2019; updated 2021). Guidance for a Risk-Based Approach to Virtual Assets and VASPs.
24. FATF. (2024). International Standards on Combating Money Laundering and the Financing of Terrorism and Proliferation (Recommendations).
25. FATF. Interpretive Note to Recommendation 15.
26. Fox, D., & Green, S. (eds.) (2019). Cryptocurrencies in Public and Private Law. Oxford University Press.
27. OECD. (2019). Technology Neutrality in Regulation.
28. Regulation (EU) 2016/679 (GDPR). European Parliament and Council.
29. Regulation (EU) 2023/1113 (Transfer of Funds Regulation – TFR). European Parliament and Council.
30. Regulation (EU) 2023/1114 (Markets in Crypto-Assets Regulation – MiCA). European Parliament and Council.
31. UK Jurisdiction Taskforce. (2019). Legal Statement on Cryptoassets and Smart Contracts.
32. World Bank. (2022). Legal Frameworks for Digital Assets.
33. Zatti, F., & Barresi, R. G. (2022). Digital Assets and the Law: Fiat Money in the Era of Digital Currency. Routledge.